საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საწარმოთა ასაკის მიხედვით

09.07.2021

www.geostat.ge

09.07.2021

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საწარმოთა ასაკის მიხედვით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, 2021 წლის ივლისიდან დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამსახველი მონაცემების გამოქვეყნება საწარმოთა ასაკის მიხედვით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დამუშავება საწარმოთა ასაკის მიხედვით, წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ახალი მაჩვენებელი მოიცავს ინფორმაციას საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ, საწარმოთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

მონაცემები გამოქვეყნდება ყოველკვარტალურად საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას საწარმოთა ასაკის მიხედვით 2016-2020 წლებში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საწარმოთა ასაკის მიხედვით, 2016-2020 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



* წინასწარი მონაცემები

09.07.2021

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განმარტება:

საწარმოს ასაკი - გაიანგარიშება მისი დაბადების თარიღიდან.

საწარმოს დაბადება ეწოდება ისეთ ბიზნეს დემოგრაფიულ მოვლენას, რომლის დროსაც ადგილი აქვს სრულიად ახალი საწარმოო ფაქტორების თავმოყრას ან საწარმოს გააქტიურებას მას შემდეგ, რაც შეჩერებული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობა 2 წელზე მეტი ხნით.

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2020 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2021 წლის 16 აგვისტოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წინა პერიოდების მონაცემების ცვლილება.

საკონტაქტო პირები:

მაკა კალანდარიშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge